საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1716 2023 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

„საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს №1488 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს №1488 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

1. პირველი პუნქტით დამტკიცებული „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს ჩხოროწყუს, ჩოხატაურისა და ვანის მუნიციპალიტეტებში ახალი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად პოტენციური ქალი ბენეფიციარების ფინანსური და ტექნიკური დახმარება.“;

ბ) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი

პროგრამა განხორციელდება ჩხოროწყუს, ჩოხატაურისა და ვანის მუნიციპალიტეტებში.“.

2. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ დაფინანსება განხორციელდება შესაბამისი წლის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან.“.

3. პირველი პუნქტით დამტკიცებული „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირობის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს ამ განკარგულების ძალაში შესვლის თარიღი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**